

შპს გია 2019

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
6. ძირითადი საშუალებები	14
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
8. საგადასახადო ვალდებულებები	15
9. გადასახდელი დივიდენდები და პროცენტები.	15
10. ამონაგები	16
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	16
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	16
14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	16
15. ფინანსური ხარჯი- წმინდა	17
16. იჯარა	17
17. კაპიტალი	17
18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

შპს გია 2019

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	2,498,791	1,282,265	778,889
საინვესტიციო ქონება		-	-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-	-
		2,498,791	1,282,265	778,889
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	395,260	90,746	93,721
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	792,268	705,588	523,253
მარაგები	5	966,639	388,407	127,775
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
		2,154,167	1,184,741	744,749
მთლიანი აქტივები				
		4,652,958	2,467,005	1,523,638
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		215,299	757,685	484,974
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,160,699	938,080	(116,656)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
		3,375,998	1,695,765	368,317
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
ანარიცხები		-	-	-

გადავადებული შემოსავალი		-	-	-
		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		500,000	150,000	550,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	708,449	587,285	537,171
საგადასახადო ვალდებულებები	8	68,511	7,128	16,166
გადასახდელი პროცენტი		-	26,827	51,984
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		1,276,960	771,240	1,155,321
მთლიანი ვალდებულებები		1,276,960	771,240	1,155,321
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,652,958	2,467,005	1,523,638

შპს გია 2019

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
ამონაგები	10	16,522,018	13,346,394
თვითღირებულება	11	(13,096,061)	(11,581,657)
საერთო მოგება		3,425,958	1,764,737
სხვა შემოსავლები		41,782	13,756
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(450,093)	(277,373)
მიწოდების დანახარჯები	13	(731,986)	(385,642)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	1,921	(8)
სხვა ხარჯები		(13,921)	-
საოპერაციო მოგება		2,273,660	1,115,471
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(51,041)	(60,734)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	15	(51,041)	(60,734)
მოგება დაბეგვრამდე		2,222,619	1,054,737
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,222,619	1,054,737
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		2,222,619	1,054,737

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	484,974	(116,656)	368,317
წმინდა მოგება	-	1,054,737	1,054,737
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,054,737	1,054,737
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	272,711		272,711
2021 წლის 31 დეკემბერი	757,685	938,080	1,695,765
წმინდა მოგება	-	2,222,619	2,222,619
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2,222,619	2,222,619
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(542,386)	-	(542,386)
2022 წლის 31 დეკემბერი	215,299	3,160,699	3,375,998

შპს გია 2019

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31/12/2022	31/12/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	2,222,619	1,054,737
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	146,627	135,179
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	124,140	74,438
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ცვლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(26,633)	
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(1,921)	8
- წმინდა ფინანსური ხარჯი	51,041	60,734
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
 ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	 (478,154)	 (401,888)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(86,680)	(182,331)
- მარაგები	(578,232)	(260,632)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	125,374	50,113
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	61,383	(9,038)
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-

ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,891,091	788,028
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	(77,868)	(85,890)
- გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,813,223	702,138
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,314,033)	(577,813)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,314,033)	(577,813)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(542,386)	272,711
- სასესხო ვალდებულებების ზრდა	-	-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	350,000	(400,000)
- გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(192,386)	(127,289)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	306,804	(2,964)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	90,746	93,721
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(2,289)	(11)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	395,260	90,746

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

გია 2019 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (ს/კ 430804640), რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 30 ივლისს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022 წელი	2021 წელი
გია ვარსიმაშვილი	100%	100%

კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2021 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2020, 2021 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2021 და 2022 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2021 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის გამომუშავებული წმინდა მოგება 2022 წელს შედაგენს - 2 222 618 ლარს (2021 წელს - 1 054 736 ლარი) . გაზრდილია გრძელვადიანი აქტივები. ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ , როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით , ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	3-20 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10-20 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის პირდაპირი დანახარჯები (მასალები, მუშების შრომითი ანაზღაურება), ასევე ზედნადები ხარჯები (ელექტრო ენერგია, გაზი, საწვავი და ა.შ.)

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ უფიქსირდება. ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	707,782	688,352
გადახდილი ავანსები	84,486	17,235
სულ	792,268	705,588

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31/12/2022	31/12/2021
ნედლეული და მასალები	917,245	309,949
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	49,394	78,458
სულ	966,639	388,407

6. ძირითადი საშუალებები

	დაუმონტაჟებული მოწყობულობები და დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	-	724,893	15,159	607,443	41,762	1,389,257
შემოსვლა	925,573	133,577	4,631	387,282	1,311	1,452,374
გადაფასება						-
გასვლა		113,559		15,050		128,609
31 დეკემბერი 2022	925,573	744,911	19,790	979,674	43,073	2,713,022
ცვეთა და გაუფასურება						-
31 დეკემბერი 2021		64,538	3,069	27,796	11,589	106,992
პერიოდის ცვეთა		41,972	3,666	73,976	4,526	124,140
გასვლა		15,772		1,129		16,901
31 დეკემბერი 2022		90,738	6,735	100,643	16,115	214,231
წმინდა საბალანსო ღირებულება						-
31 დეკემბერი 2021	-	660,355	12,090	579,646	30,173	1,282,265
31 დეკემბერი 2022	925,573	654,173	13,056	879,031	26,958	2,498,791

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

მანქანა დანადგარების გასვლა 2022 წელს უკავშირდება ძველი ცემენტის წისქვილის დაშლას, რომლის დიდი ნაწილი გამოყენებლ იქნა ახალი ცემენტის წისქვილის დამონტაჟების დროს

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	700,572	587,285
მიღებული ავანსები	7,877	-
სულ	708,449	587,285

8. საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება		
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა საშემოსავლო გადასახადები		
დღგ	13,668	697
ქონების გადასახადი	8,600	(3,294)
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	7,910	8,738
სხვა	1,932	(673)
საბაჟო გადასახადები	36,401	(12,596)
სულ	68,511	7,128

9. გადასახდელი დივიდენდები და პროცენტები.

კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდის გაცემის შესახებ. საანაგრიშო პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემები კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ (წმინდა მოგება) მოიცავს მოგების და საშემოსავლოს გადასახადებს. იხ. შენიშვნა 2. მათი დარიცხვა და გადახდა მოხდება მომავალში დივიდენდების გატანის შესაბამისად.

კომპანიას 2021 და 2022 წლებში კერძო კომპანიის მიმართ (არაფინანსური დაწესებულება) უფიქსირდება მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება. წლიური 12% .

10. ამონაგები

	31/12/2022	31/12/2021
საქონლის გაყიდვა	16,046,672	13,183,829
მომსახურების გაწევა	11,646	40,376
მომსახურების გაწევა - საერთაშორისო გადაზიდვები	463,700	122,189
სულ	16,522,018	13,346,394

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, აგრეთვე თანამშრომელთა შრომის პირდაპირ დანახარჯებს, საწვავს, ელექტრო ენერგიას .

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ძირითადი საშუალებების ცვეთას, სხვა საგადასახადო ხარჯებს და სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 95 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე, ტექნიკის რემონტზე და შრომის ანაზღაურებას.

14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობა/ზარალი უკავშირდება მხოლოდ საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს.

15. ფინანსური ხარჯი- წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი უკავშირდება გაცემული და მიღებული სესხების პროცენტებს.

16. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგების და დამფუძნებლის შენატანისაგან.

18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
დირექტორი გია ვარსიმაშვილი (პ/ნ 01011021953)

ქ.რუსთავი საქართველო

20 ივნისი 2023 წელი

/

